ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

„იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის

სხდომის ოქმი N 5

ქ. ლანჩხუთი **05.05.2023 წელი**

12:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე, **გიორგი ხელაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ია მოქია, ნინო მშვიდობაძე, დარეჯან ბურჭულაძე, მაკა მშვიდობაძე, კახაბერ ასკურავა.

სხდომას არ ესწრებოდა: კარლო წილოსანი - საპატიო მიზეზით.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი **ირაკლი ხუხუნაიშვილი,** ჩიბათის, გვიმბალაურის და მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ჩახვაძე,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ჭანტურიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მდებარე უსახელო ქუჩების არაბული ციფრებით სახელდების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი:„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მდებარე უსახელო ქუჩების არაბული ციფრებით სახელდების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის“ თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** და აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში სახელწოდების არმქონე ქუჩების სახელდება უნდა მოხდეს არაბული ციფრებით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ მხოლოდ ერთი უბანი (ეგრეთ წოდებული „კორეის უბანი“) დარჩა მუნიციპალიტეტში დამისამართების გარეშე, რადგანაც აღნიშნულ უბანში მოსახლეობის ნახევარს რეგისტრაცია ჰქონდა ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში, დანარჩენს კი ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში. აღნიშნული უბნის მოსახლეობის (სულ 21 ოჯახი) სურვილი იყო, რომ მათი მისამართი ყოფილიყო ლესა, მაგრამ მოხდა გარკვეული გაუგებრობა და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ეს უბანი დამისამართების გარეშე დარჩენილიყო.

საკითხის ირგვლივ ასევე განმარტება გააკეთა მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა** და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7-მე-8 პუნქტებისა და მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მე-15-მე-17 პუნქტების შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა განხორციელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მდებარე სახელწოდების არმქონე ქუჩების სახელდება №2.1 – 2.43 დანართის სახით მოცემული სიტუაციური რუკების და დანართი №1-ით განსაზღვრული გეოგრაფიული ობიექტების შესაბამისად, არაბული ციფრების გამოყენებით.

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

სხვადასხვა.

დარეჯან ბურჭულაძემ წამოაყენა წინადადება იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქში თავისუფლების ქუჩა არის საფრთხის შემცველი და გზაჯვარედინთან აუცილებელია

ბარიერის მოწყობა. ის მომხრეა, რომ ქვეყანაში გამკაცრდეს მართვის მოწმობის გაცემა, რასაც **ია მოქიაც** დაეთანხმა და აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ აღნიშნულ მონაკვეთზე გაკეთდება „ზებრა“ გადასასვლელი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე **/გიორგი ხელაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

„იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის N 5 სხდომის

დასკვნა

ლანჩხუთი **05. 05. 2023 წელი.**

2023 წლის 5 მაისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მდებარე უსახელო ქუჩების არაბული ციფრებით სახელდების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მდებარე უსახელო ქუჩების არაბული ციფრებით სახელდების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დადებითად გადაწყვეტას კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

„იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“

კომისიის თავმჯდომარე: **გიორგი ხელაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს "იურიდიულ საკითხთა და ეთიკის" კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

05.05.2023 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ხელაძე	11:57	
2	ია მოქია	11:57	
3	კახაბერ ასკურავა	11:57	
4	მაკა მშვიდობაძე	11:57 წუთ.	
5	კარლო წილოსანი	არ ესწრებოდა	საპატიო მიზეზით
6	ნინო მშვიდობაძე	11.58	
7	დარეჯან ბურჭულაძე	11:58	